ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 16 დეკემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 16 დეკემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:
12 თვით . . 10 მ. — კ.
11 ,, . . 9 ,, 50 ,,
10 ,, . . 8 ,, 75 ,,
9 ,, . . 8 ,, — ,,
8 ,, . . 7 ,, 25 ,,
7 ,, . . 6 ,, 50 ,,
6 ,, . . 6 ,, — ,,
5 ,, . . 5 ,, 50 ,,
4 ,, . . 4 ,, 75 ,,
3 ,, . . 3 ,, 50 ,,
2 ,, . . 2 ,, 75 ,,
1 ,, . . 1 ,, 50 ,,

ივერია

№ 287 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 287

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთექვსმეტე

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

«ჯეჯილში» მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონის ძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს «ჯეჯილის» ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სხვა და სხვა სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი «ჯეჯილი» მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—«წერა-კითხვის გამ. საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул, д. Груз. Двор., № 101), და თვით «ჯეჯილი»-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Дэжеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

(3—შ—3)

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს,

გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა.**

წარმოდგენილი იქმნება

ცარსკაია ნევესტა

ოპერა 4 მოქ., მუსიკა რიმსკი-კორსაკოვსს.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნიკიტსკაია, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა, ზასლავსკისა, ფერარი და სხვ.; ბ-ნნი სიკაჩინსკი, პოლუიანოვი, დემიანენკო, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსკი.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 17 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქნება

მაზეპა

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

სამშაბათს, 18 დეკემბერს,

გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა.**

წარმოდგენილი იქმნება

რიგოლეტო

მუსიკა ვერდისა.

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს,

კასსა «Location»-ის კასირ-ქალის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **მანდარინის შვილი»,** ც. კიუისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელლერი.

20 ამა დეკემბერს

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება „წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ფერტიგი; ბ-ნნი ვილშაუ, მესხი კ. ს., მესხიშვილი ა, ი., პოლივკა, რჩეულიშვილი, ტომაშევიჩი, ჯაფარიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ბ-ნ ზაქ. ფალიაშვილის ლოტბარობით

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული

ცეკვა.

ბილეთები ისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურთა ქარვასლა).

(5—6—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი, ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ხ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** $1^1/_2$—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

სალამოობით:

გ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ქართველნი მკურნალნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ვ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სდოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

იაპონიის ფლოტის წასვლა სამხრეთისკენ. ტოკიოსა, სინგაპურისა, შანჰაისა და ჰონკონგიდგან მოსულ დეპეშებიდგან სჩანს, რომ ადმ. ტოგო როჟესტვენსკის ესკადრის დასახვედრად გაემგზავრა. ტოგოს ესკადრის უმეტესმა ნაწილმა პორტ-არტურს თავი მიანება, რაიც იმით უნდა აიხსნას, რომ პორტ-არტურის ესკადრა თითქმის მთლად დაიღუპა და ეხლა ადმირალ ტოგოს მისგან აღარაფრის შიში არა აქვს. ამის შესახებ «რუს. ვედ.»-ის სამხედრო მიმომხილველი ვ. მ. სწერს: «იაპონიის ოფიციალურ ცნობებით ეჭვს გარეშეა, რომ პორტ არტურის ესკადრა დაიღუპა. ამას რუსული ცნობებიც ამტკიცებს. იაპონელთა ოფიციალურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 203 მეტრიან გორიდგან რუსეთის ესკადრას 11 დიუმიან საზღვაო ზარბაზნებს ვუშენთო. 11 დიუმიან ზარბაზნებს იაპონიის ფლოტი არა ხმარობს, მაშასადამე აქ იმ ზარბაზნებზედ კი არ არის ლაპარაკი, რომელიც ვითომ იაპონელებმა თავიანთ გემებიდგან ნაპირზედ გადაიტანეს, არამედ კრუპის 11 დიუმიან იმ ზარბაზნებზედ, რომლებითაც იაპონელთა ზღვის ნაპირა ციხეებია გამაგრებული. ამგვარი ზარბაზანი სიგანით 11,02 დიუმიან და სიგძით 40 კალიბრისაა. მისი ყუმბარა 659 გირვანქას ($16^1/_2$ ფუთს) იწონს და $4^1/_2$ ვერსზედ კრუპპის სისტემით ნაწრთობ და $8^1/_2$ დიუმიან ფოლადის ჯავშანს ხვრეტავს. მაშასადამე, იაპონელთა ყუმბარებისგან «რეტვიზან»-ის გარდა პორტ-არტურში მდგარი ყველა ჯავშნიანი გემი უნდა დახვრეტილიყო. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რიგად უნდა დამსხვრეულიყო 11 დიუმიან ყუმბარების სეტყვით პორტ-არტურის გემების კაზემატები და ზარბაზნების საფრები, რომელიც მხოლოდ 2—6 დიუმიანისა და გაუმაგრებელ ფოლადით არის შეჭედილი.

ჯავშნიან გემთა ზედა და შუა ბანს იაპონელების მიერ ნასროლ 21 ფუთიან ყუმბარებისგან ვერავითარი ქვიშით გატენილი ტომრები და რელსები ვერ დაიფარავდნენ. ოთხი დღის განმავლობაში, ნოემბრის 24-დგან 27-მდე რუსეთის ფლოტს იაპონელებმა საშინელის ძალითა და მედგრობით დაუშინეს ზარბაზანი და პირველ დღესვე 150 ყუმბარა მოარტყეს. ოთხ დღეში კი პორტ არტურში მდგარ 8 დიდ გემს საერთოდ 600 ყუმბარა მოხვდა, ანუ თითო გემს იაპონელებმა საშუალოდ 75 ყუმბარა მოარტყეს. 28 ნოემბერს იაპონელებმა გემებს თავი მიანებეს და თავის ზარბაზნები ძველ ქალაქსა, არსენალსა და ოქროს გორის ბატარეიებს დაუშინეს. ეს კი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იმ დროს პორტ არტურის ფლოტი უკვე დაღუპული იყო. ადმირალ ტოგოს დაწვრილებითი მოხსენებიდგან სჩანს, რომ 25 ნოემბერს პორტ არტურის ფლოტის უმეტესობა თანდათან იძირებოდა, 28 ნოემბ. კი «სევასტოპოლ»-ისა, «ოტვაჟნი»-სა და 6—7 ნაღმოსათა გარდა ადმირალ ვირენის ფლოტი უკვე ჩაიძირა. როგორცა სჩანს, როცა აღმოჩნდა, რომ პორტ არტურის ესკადრას საფრთხე მოელოდა, ადმირალმა ვირენმა თავის გემები ისეთ ადგილას გადაიყვანა, სადაც წყალი ღრმა არ იყო და უზარმაზარი გემებიც სწორედ აქ, 2—3 საჟენის სიღრმეზედ, ჩაიძირნენ. სამწუხაროდ 28 ნოემ. 2 დეკემბრამდე საქმის ვითარების შესახებ ჩიფუს მიტანილი და იქიდგან პეტერბურგს მოსული ოფიციალური ცნობები გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ იაპონურ ოფიციალურ ცნობებზედ იჭვის შეტანაც შეუძლებელია. რუსეთის ესკადრას მეზღვაურებმა თავი მიანებეს და მათი შეკეთებაც, როგორც პორტ არტურის მუშების უფროსის დეპეშიდგან სჩანს, შეჩერებულია. მაგრამ ყველაზედ უფრო სამწუხარო ცნობას ტოკიოდგან ამერიკის ელჩი იტყობინება: ელჩი თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ იაპონიის ძლიერი ესკადრა სამხრეთისკენ წავიდაო. ამის გარდა ჰონკონგიდგან რეიტერის სააგენტოს დეპეშაც იუწყება, რომ დეკემბრის დამდეგს იაპონიის უზარმაზარმა ფლოტმა ფორმოზის სრუტე გაიარა, პესკადორის კუნძულებს გვერდით ჩაუარა და სამხრეთისკენ გაემგზავრაო. პორტ არტურის ესკადრა რომ არ დაღუპულიყო, იაპონიის ფლოტის წასვლა ინდოეთის ოკეანესა და ზონდის სრუტისაკენ ამისთანა დროს უგუნურება იქნებოდა. ბალტიის ესკადრის მისვლას წყნარ ოკეანემდე ჯერ კიდევ ორ თვეზედ ნაკლები არ მოუნდება და ამიტომ ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრასთან შეხვედრის დაჩქარება არა სჭირიათ. პორტ არტურის ფლოტს რომ ზღვაში გასვლა შესძლებოდა, ტოგოს ესკადრა პორტ-არტურს თავს ვერ გაანებებდა, რადგან ეს პორტ არტურთან იაპონელების აუარებელ შრომის ნაყოფის განადგურება იქნებოდა. ამის გარდა, პორტ არტურის ფლოტი ზღვაში გავიდოდა და იაპონელთა სამხედრო ტრანსპორტებსა და სავაჭრო გემებს საქმეს გაუჭირებდა. ეხლა კი, «სევასტოპოლ»-ს, «ოტვაჟნი»-სა და რამდენსამე ნაღმოსანს ბრძოლის თავიც რომ ჰქონდეს, ადმირალი ტოგო პორტ არტურთან ერთ ჯავშნიან გემსა, რამდენსამე კრეისერსა, საკანონირო გემსა და ნაღმოსნებს დასტოვებდა და თვითონ კი სამხრეთისაკენ წავიდოდა.

პესკადორის კუნძულებთან გავლილი იაპონიის ფლოტი 40 გემისაგან შესდგებოდა, მათ შორის 15 ტრანსპორტი იყო, 25 კი სამხედრო, გემი. ამ ფლოტში უეჭველად უნდა იყოს ადმირალ ურიუს დივიზიაც რომელიც 3 დიდ პალუბა ჯავშნიან კრეისერისა და 12 ნაღმოსნისაგან შესდგება, ამ რაზმს შეერთებოდა ტოგოს ესკადრის ერთი ნაწილი, დაახლოვებით 10 გემი. 30 ნოემბერს ტოგოს გემი «მიკაზა», ჯავშნიანი კრეისერები «ნისინი», «კასუგა» და კიდევ ერთი სხვა კრეისერი შანგტუნის კონცხთან ნახშირით იტვირთებოდნენ. დანარჩენი ექვსი გემი, რომელმაც პესკადორის კუნძულებთან გაიარა, არ ვიცით რა გემები იყო, მაგრამ მგონია მხოლოდ ჯავშნიანი გემები და კრეისერები იყვნენ. ამიტომ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სამხრეთისკენ იაპონიის ფლოტის უმეტესობა წავიდა,—დაახლოვებით 4 საესკადრო ჯავშნიანი გემი, 6 ჯავშნიანი კრეისერი, 3 დიდი პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი და 12 ნაღმოსანი; იაპონიის და ყვითელ ზღვაში კი 17-მდე დიდი გემი დარჩა. შინ დარჩენილი ესკადრა დიდ ძალას შეადგენს და ორ რაზმად არის გაყოფილი: ერთი რაზმი პორტ არტურს დარაჯობს, მეორე კი ვლადივოსტოკს. თუ ინდოეთის ოკეანისკენ მიმავალი ესკადრა დაახლოვებით მაინც იმდენია, რამდენიც ჩვენ გვგონია, მაშასადამე იაპონელებს როჟესტვენსკის წინააღმდეგ დიდი ფლოტი გაუგზავნიათ. ადმირალ ტოგოს 13 დიდ გემზედ 211 დიდი ზარბაზანია. ამ ცოტა ხანს იაპონიის ფლოტი სინგაპურთან უნდა გაჩნდეს და ზღვაზედ საქმის მდგომარეობაც მაშინ გამოჩნდება (რ. ვ.).

კიკვანშანის ფორტი. გენ. ნოგის ჯარში მყოფი რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: კიკვანშანის ფორტის აღებას იაპონელებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აქედგან პორტ არტურის აღმოსავლეთის უმაღლეს მთებზედ მისავლელი გზა გახსნილია. ამის გარდა კიკვანშანის აღებით იაპონელებმა პორტ არტურის დასავლეთ ფორტების აღებაც გაიადვილეს. კიკვანშანის ფორტის მიდამოებში სულ 7 ფორტია. 5 ფორტი უკვე იაპონელებს უჭირავთ.

ტოკიოდგან დეპეშით იტყობინებიან, რომ კიკვანშანის ფორტის აღების დროს იაპონელებს სულ 400 კაცი დაუჭრეს და მოუკლესო. ამ ფორტის აღების შემდეგ იძუშანის ფორტიც ცუდ მდგომარეობაში ჩავარდაო (რ. ვ.).

წვრილი ამბები. «ბერ. ტაგ.»-ს ლონდონიდგან ატყობინებენ: პორტ არტურიდგან ჩიფუში გამოპარულმა რუსის აფიცერმა სთქვა: რუსეთის ესკადრას ზღვაში გამოსვლა სულაც არ უცდიაო. ადმირალმა ვირენმა უკმაყოფილება გამოაცხადა, მაგრამ სტესელმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და გემებიდგან ზარბაზნები ნაპირზედ გადაიტანა. აფიცერს ძალიან უკვირს იაპონელების გამბედაობა და სიმამაცე (რ. ვ.).

ახალი ამბავი

უფასო სავალდებულო სწავლების გამო. მკითხველთ უთუოდ უნდა ახსოვდეთ, რომ ამას წინად ტფილისის საბჭოს ხმოსანმა ბ-ნმა მ. ქ. ყიფიანმა ქალაქის გამგეობას გადასცა განცხადება ტფილისში ბავშვთათვის უფასო სავალდებულო სწავლების თაობაზედ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს განცხადება განსახილველად და თავის აზრის წარმოსათქმელად გადასცეს საბჭოს სამოსწავლო კომისიას. როდესაც კომისია თავისს აზრს გამოსთქვამს, შემდეგ ამ განცხადებას წარუდგენენ განსახილველად ქალაქის საბჭოს.

*** **ქალაქის მოურავთა კრებისათვის.** ტფ. ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ქრ. ა. ვერმიშევმა წარუდგინა ტფ. გუბერნატორს ამ წლის 29 ნოემბრის საბჭოს კრების დადგენილების პირი იმის თაობაზედ, რომ იშუამდგომლონ, რათა მთლად რუსეთის ქალაქების მოურავთა კრება იქმნას მოწვეული. ქალაქის მოურავმა აგრეთვე წარუდგინა ბ-ნ გუბერნატორს საბჭოს ხმოსნების ბ-ნთ ს. თ. ქრელაშვილისა და ა. ს. ბაზოვის განცხადებანი და აგრეთვე ოდესის ქალაქის მოურავის განცხადების პირი. ბ-ნი ვერმიშევი დასძენს, შეგვატყობინეთ, დაბრკოლება ხომ არა იქნება რა თქვენის მხრით, რომ ეხლავე სისრულეში მოვიყვანოთ საბჭოს დადგენილება შუამდგომლობის აღძვრის შესახებ და არ მოვუცადოთ ორის კვირის გასვლას, როგორც საქალაქო დებულების მე-82 მუხლი მოითხოვსო.

*** **გაზეთის 20 წლის იუბილეი.** სტავროპოლში გამოდის რუსული გაზეთი „Сѣв. Кавказъ“-ი რომელსაც 3 დეკემბერს არსებობიდგან 20 წელიწადი შეუსრულდა. ამ დღესასწაულის აღსანიშნავად რედაქციამ და გამომცემლებმა ჯერჯერობით გადასდეს 100 მანეთი ფონდის შესადგენად, საიდგანაც ხელმოკლე ასოთ-ამწყობთ მისცემენ სესხს სარგებლის გამოურთმევლად. რედაქციის წევრთ რთმანეთს შორის შეაგროვეს აგრეთვე 50 მან. სახალხო განათლების გავრცელებისათვის დასახმარებლად. შემდეგ გამომცემელმა-ქალმა და თანამშრომლებმა მიიღეს ასოთ-ამწყობთა დეპუტაცია და გაუმართეს ვახშამი როგორც ასოთ-ამწყობთ, აგრეთვე თანამშრომლებსაც.

*** **ზუბალაშვილების სახელობის სააკადმყოფო.** ხვალ, პარასკევს, 17 დეკემბერს, კრება ექმნება საგანგებო მცირე კომისიას ბ-ნ ზუბალაშვილის მონაწილეობით. კრებაზედ საბოლოოდ უნდა შეთანახმდნენ ბ-ნ ზუბალაშვილთან საქალაქო საავადმყოფოს აგების თაობაზედ, რომელიც ბ-ნ ზუბალაშვილების მიერ შეწირულ ფულით უნდა აშენდეს.

*** **ელექტრონის ტრამვაი.** ბელგიის უსახელო საზოგადოების ტფილისის ტრამვაის გამგეობას გუშინ-წინ ნება დართეს, რომ ვაგზლის ქუჩიდგან მიხეილის პროსპექტზედ, თავ. ვორონცოვის ძეგლამდე, დაიწყოს ელექტრონის ტრამვაის ვაგონების მოძრაობა. გუშინ უკვე დაიწყო ხსენებულს ქუჩებზედ ვაგონების ელექტრონით მოძრაობა.

*** **საბჭოს კომისიის კრება.** დღეს, 16 დეკემბერს, კრება ექნება ტფ. საბჭოს კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს შუა ბაზრის ქუჩის გაფართოვების საქმე. ამ ქუჩაზედ უნდა გაიყვანონ ტრამვაის ლიანდაგიერევნის მოედნიდგან თათრის მოედნამდე.

*** **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების** მორიგი კრება მოხდება დღეს, 16 დეკემბერს. კრებაზედ ბ-ნი ა. ი. ხატისოვი წაიკითხავს მოხსენებას „ტფილისის საზოგადო საავადმყოფოს პროექტი».

*** **სასანიტ.-აღმასრულ. კომისიის** კრება, რომელიც დღეისათვის იყო დანიშნული, გადაიდო შაბათს, 18 დეკემბრისათვის.

*** **შობის დღესასწაულების მოახლოვების გამო** ტფ. საზოგადო განათლების კურსებზედ მეცადინეობა დამთავრდება შაბათს 18 დეკემბერს.

*** **მიმოსვლის შეწყვეტა,** ბათუმიდგან იუწყებიან, რომ დიდის თოვლისა და ქარ-ბუქის გამო, ბათუმ-ახალციხის გზატკეცილზედ მიმოსვლა შესწყდაო.

*** **ქალაქის გამგეობის მოხელეთა სია** ტფ. გუბერნატორის წინადადების თანახმად, უკვე წარუდგინა ტფილისის ქალაქის მოურავმა ბ-ნ გუბერნატორს. სიაში ჩამოთვლილია როგორც ამორჩეულნი, ისე კერძოდ დაქირავებულნი სამსახურის კაცნი.

*** **შემწეობის აღმოჩენა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ მომავალ 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ჩაურთო 1,000 მან., რომელიც იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის უსინათლოთათვის სამზრუნველოს უნდა მიეცეს.

*** **ხორცისა და პურის ნიხრის დამწესებელმა** კომისიამ 11 დეკემბერს დაადგინა, დაავალოს ვაჭრებს შეიძინონ პატარა წიგნაკები და საჩივრების შესანახი ყუთები. თუ ვინიცობაა ვაჭარმა ნიხრზე მეტათ გაჰყიდა სანოვაგე, მყიდველს შეუძლიან საჩივრის წიგნიდან ერთი ფურცელი ამოიღოს, საქმის ვითარება აღნიშნოს და ყუთში ჩააგდოს. სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტები კვირაში ორჯელ დუქნებს ჩამოუვლიან და ამ საჩივრის ფურცლებს კომისიას წარუდგენენ. წიგნების ფორმის შემუშავება კომისიამ დაავალა ა. ს. ღულაძეს. უფროს აგენტს კომისიამ დაავალა, წარუდგინოს სია ხორცისა და პურის ვაჭრებისა.

*** **ახალი ნიხრი.** ნიხრის დამწესებელ კომისიას საჭიროდ უცვნია დაწესდეს შემდეგი ნიხრი: 1 ხარისხის გირვანქა ხორცზე 11 კაპ., 2—10 კაპ. და მესამე ხარისხის—7 კაპ. ცხვრის ხორცი—12 კაპ., დუმა—15 კაპ., ღორის ხორცი: უკანა ფეხის ხორცი 15 კაპ., საკატლეტე ნაწილი—13 კაპ., სხვა დანარჩენი ხორცი უტყაოდ—9 კაპ., და ტყავიანად 8 კაპ.

*** **ოლქის სასამართლოს სესია თელავში.** 12 დეკემბერს თელავში გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია პადალკოს თავმჯდომარეობით. სესია თელავში 19 დეკემბრამდე დარჩება.

*** **ახალი დანიშნულებანი.** თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწედ ინიშნება ფშავ ხევსურეთის საბოქაულო ნაწილის გამგე ბ-ნი ი. ოზიაშვილი, ხოლო უკანასკნელის ნაცვლად ბოქაულად—თარჯიმანი თიანეთის სამაზრო სამმართველოსი თავ. ყარალაშვილი.

საქართველო

—

ქვემო რაჭა.

იაშვილებისაგან ნაყიდი საერთო მთა.—მზრუნველის დაყენება.—ძარცვა გლეხთა.

ამ ათის წლის წინად რამდენმამე სოფელმა იყიდა ერთი დიდი მთა, თავად იაშვილების ნაქონი. საიაშვილო მთა, ერთად ერთი მთა არის მთელ რაჭის მაზრაში, სადაც იხდება ნაძვის ხისაგან ყავარი და მოიპოვება მრავალი კაი ღირსების ხე-ტყე. ამისათვის მრავალმა ღარიბმა გლეხმა ივალა ფული და ნავალების ფულით შეიძინა მთის ნაწილი. მთა გაუყოფელი იყო და ეკუთვნოდა რამდენსამე ძმასა და ბიძაშვილებს. დარჩა უყიდველი მთის ერთი ნაწილი რომელიაც იაშვილისა. თავადიშვილმა სთხოვა მთავრობას, ვინაიდგან მთა გაუყოფელია, მზრუნველი დაადგეს თავს ʤ მთაში სარგებლობა ყველას აეკრძალოსო. მართლაც, მთელ მთას მზრუნველი დააყენეს და ყველა მონაყიდეს აეკრძალა მთიდან სარგებლობა. მართლა მთისთვის ჰზრუნავენ, თუ პატრონთათვის, ეს მართლად ალახმა უწყის. მონაყიდეს კი ერთის წკლიპის გამოტანა არ შეეძლო მთიდგან. თუ გაბედავდა რომელიმე მონაყიდე გლეხი და გამოიტანდა მთიდან ხეს, ან ყავარს, გაჩნდებოდნენ მაშინვე ტყაჩოები და რაც ჰლირდა გამოტანილი ხე-ტყის მასალა, ხუთ იმდენს ახდევინებდნენ საწყალ გლეხს და თითონ იდებდენ ჯიბეში. შარშან მოიყარა ერთად თავი ყველა მონაყიდემ ʤ დაადგნენ იმ აზრს აერჩიათ ორ სამ სოფელს თითო კაცი, ვექილად მთის გაყოფის თაობაზე. სოფ. წესმა, ლიხეთმა და კვაცხუთმა აირჩიეს ვექილად კვაცხუთს მცხოვრები გლეხი სტ. ბიჭაშვილი. პირობაც დადვეს ერთმანეთ შორის, როდესაც მთას გაჰყოფდა ვექილი, თვითეულ გლეხს უნდა მიეცა მისთვის ოთხ ოთხი მანეთი, და თუ ვინმე პირობას დაარღვევდა ე. ი. თავის დანიშნულ დროზე ოთხ მანეთს ვერ გადაუხდიდა, ჯარიმად უნდა ეზღო ასი მანეთი. ბიჭაშვილმა სთხოვა მთავრობას და წელს დანიშნეს მიწის მზომელი მთის გასაყოფად. მიწის მზომელმა, თვითეულ სოფელს მიუზომა ცალკ-ცალკე მათ მათი ხვედრი. ვისაც შეეძლო ყველამ გადუხადა ვექილს ბიჭაშვილს ოთხ-ოთხი მანეთი, დარჩა რამდენიმე გლეხი (სულ ათი კომლი) რომელთაც ვერ მისცეს ვექილს თავის დროზე ოთხი მანეთი. შეუძლებლობამ და სიღარიბემ დაარღვევია პირობა საწყალ გლეხებს, ʤ ბიჭაშვილმაც ისარგებლა მით და პირობა წარადგინა მომრიგებელ-მოსამართლესთან. მსაჯულმა დააკისრა საცოდავ გლეხებს გადასახდელად თითოეულს ას-ასი მანეთი. ახლა უგზავნიან საწყალი გლეხები ვექილს შუა კაცს, და აძლევს ზოგი 30 მ. ზოგი 40 მან მაგრამ ბიჭაშვილი ცივ უარზე სდგას და არავის თხოვნას სიახლოვეს არ იკარებს. ერთმა საწყალმა გლეხმა, რომელსაც ქალამნებში თითები გამოყრილი ჰქონდა და დასამალავ ადგილს ვერ უფარავდა მისი კონკად ქცეული ახალუხი, მთლად მისი ნაწილი მთისა (თითონ ნაყიდი აქვს 40 მ.) აძლია ბიჭაშვილს და ზედმეტს აძლევდა 30 მ. მაგრამ საწყალი გლეხის ხვეწნა, სიახლოვესაც არ წაიკარა. სწორეთ გული გიკვდება კაცს, როდესაც უყურებ ასე უსამართლოდ კაცის ყვლეფას. გვიკვირს, რათ სჩადის ასეთს უსამართლობას ბიჭაშვილი, როდესაც გლეხის შვილია და კარგად იცის, როგორი გაჯავრებული არიან მისი მოპირდაპირე მეზოვლები?!..

განო კესარიაშვილი.

სატრფოს.

მიყვარხარ, გეტრფი, კვალად გეტყვი: მიყვარხარ შენა!
ამ ჩემს გულის-წვას მუდამ ვიტყვი, ვიდრე მაქვს ენა.

—

თვით კარგად იცის, არის ძნელი ტრფობის მოთმენა,
მაკმარე, ტურფავ, ცეცხლი მწველი, გვედრი შენა!

—

მე შენმა ტრფობამ სულ დამიხშო გულის მოლხენა,
ჩემ სატანჯველად ნეტავ ვინ გშვა? არ გაქვს შესმენა!

—

შენ ხარ მალამო,
მკურნებელი ჩემის წყლულისა,
ცვარი საამო,
ზეაღმდგენი კაცის გულისა!

—

ყვავილი ტურფა,
ჯერედ ნორჩი გაზაფხულისა,
ტრფობის მუქაფა
და წარმტაცი მაშვრალთ გულისა!

—

ტურფათ მეფა ხარ, ალვა-ზრდილი, ვითა ქანდარი!
შენ გამიღვიძე ტრფობის ალი, გულში მძინარი!

—

მაშ, აწ სადღა ხარ, რისთვის გახდი ჩემ უჩინარი,
ახლა მშორდები, ოდეს მასვი სამსალა მწარი?

—

რად ამიშფოთე მე გონება, მშვიდი და წყნარი,
ან რად წამართვი მე ცხოვრება, დღემდისინ მტკბარი?

—

ტურფავ, ამას გთხოვ, აწ მახვილით გამიპე გული,
თუ შემიბრალებ, მაშინ წამლით განკურნე წყლული!

—

წყეულიმც იყოს ის საათი, როცა შენ განახე
და შენთან ტკბილი მასლაათი გამიხდა მახე!!

—

მას აქეთია ჩემი გული შენ ავაგლახე
და სიზმარშიაც არ მშორდება ეგ უცხო სახე.

ია ჭუაძე.

კიდევ ბ-ნი ზანგი

და მისი წერილი «უცხო სიტყვათა ლექსიკონი»-ს შესახებ.

(პასუხის პასუხი *)

არ მინდოდა ბ-ნ ზანგისთვის პასუხი გამეცა იმ ვითომ-და თავის გასამართლებელ წერილზე, რომელიც ახალის შეცდომებით «მომთავაზა», მაგრამ რას ვიზამ, როდესაც მისი წერილი გაზეთშია დაბეჭდილი და ამ გაზეთს კი ბევრი გულუბრყვილო მკითხველი ჰყავს.

ჩემი წერილი, რომელიც სიმართლის აღსადგენად დაიბეჭდა ამ წლის «ცნობ. ფურც». **2636, 2637** და **2638** №-ებში, ბ ნ ზანგს ისე მიუჩნევია, თითქო «დიდი სურვილი» მქონდეს, რომ ჩემი წიგნი ქებით მოიხსენიონ. განა სამართლის აღდგენა და „ქებით მოხსენების სურვილი“ ერთი და იგივეა?! ნუ თუ «ქების სურვილით» არის გატაცებული ის კაცი, რომელიც ნაშრომის გაუმჯობესოებისათვის საზოგადოებას მოიწოდებს და წიგნის წინასიტყვაობაში სწერს: «უმორჩილესათ ვსთხოვ ყველას, რომელიც კი რაიმე ნაკლს შენიშნავს ამ წიგნს, წერილით ანუ პირადათ მაცნობოს, რითაც დიდათ დამავალებს». [1] დიაღ, იმ თავითვე ჩემი სურვილი ის იყო, რომ ჩემს ლექსიკონს მიუდგომელი მსჯავრი დასდებოდა, რათა შემდეგისათვის მეხელმძღვანელნა და, თუ რაიმე ნაკლს მიჩვენებდნენ, შემევსო. ჩემდა სამწუხაროდ ასეთი კაცი არ გამოჩნდა, გარდა ბ-ნი ზანგისა, რომელმაც ჩემს ნაშრომს გვერდი აუქცია და თვისი გულის-წყრომა ჩემს პიროვნებაზე გადმოანთხია; ბ-ნ ზანგს რომ «უცხო სიტყვათა ლექსიკონი»-ს შემდგენლისათვის არავითარი ყურადღება არ მიექცივნა და მხოლოდ ნაშრომი განეხილა, მაშინ ასე სახიფათოთ არ შესცდებოდა. დარწმუნებული ვარ, ეს ასე იქნებოდა, რადგანაც ყოველი ჩემი სიტყვა, ჩემის ლექსიკონის თვითეული პწკარი ხანგრძლივი შრომის ნაყოფია, შედარებულია მრავალს წყაროებთან, შემოწმებულია სხვა და სხვა ლექსიკონებთანა და წიგნებთან და მხოლოდ ისეა შეტანილი ლექსიკონში. მიუდგომელი კაცი, ჩემ მიერ ნაჩვენებ წყაროებსაც გამოსძებნიდა, შეადარებდა და მხოლოდ ისე დამდებდა მსჯავრს. ბ-ნი ზანგი ასე არ გაისარჯა: იგი ცდილობს ჩემის პიროვნების დამცირებას და რომ ეს ასეა, ამას ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან დაინახავთ.

ბ-ნმა ზანგმა ის არ იკმარა, რომ თავის პირველს წერილშივე გადამახინჯებით ამოსწერა ჩემის ლექსიკონიდან მოყვანილი სიტყვები, ახლა თავისს შეცდომებს ესარჩლება და ჰლამის გადააფუჩეჩოს. იგი ბრძანებს: «მართალია აგრეთვე, რომ ორიოდე (მხოლოდ ორიოდე, ბ-ნო ზანგო?) სიტყვა მცირედის (sic) შეცდომებით არის დასტამბული (ბ-ნი ზანგი წინასწარ განზრახულებით განგებ გადამახინჯებით ამოწერილს თავის შეცდომებს სტამბას აწერს) ჩვენს შენიშვნაში»-ო და სხ... მე დიდის სიამოვნებით მოვიყვანდი იმ «ორიოდე სიტყვა მცირედის შეცდომებით დასტამბული»-ს იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად საბუთიანია ბ-ნ ზანგის «თავის მართლება», მაგრამ ჯერ ერთი, რომ წერილის გაგრძელებისა მეშინიან და მეორეც—ვისაცა ჰსურს, კვალად იხილოს ჩემი წერილი [2] და მასში ამოწერილი ადგილები (ბ-ნ ზანგისა და ჩემი სიტყვები) ერთმანერთს დაუპირდაპიროს და შეუდაროს. ამ ჟამად კი რამდენსამე მაგალითს მოგახსენებთ იმისას, თუ რამდენად მართლმსჯელობს ბ-ნი ზანგი.

1) ბ-ნი ზანგი ადვოკატურას შესახებ მოიადვაკატურებს და ბრძანებს: «იმას (ე. ი. მე) ადვოკატურა მაინც რიგიანად არა აქვს ახსნილი; რუსულის ლექსიკონიდან მოყვანილი სიტყვები **веденіе судебныхъ дѣлъ** რიგიანად არა აქვს გადმოთარგმნილი; სასამართლო საქმეთა წარმოება—**цроизводство судебныхъ дѣлъ** არ არის ადვოკატურა». «ერთს წუთს» დავეთანხმოთ ბ ნს ზანგს და ვსთქვათ, რომ ჩემი ქართული «წარმოება» (სასამართლო საქმეთა წარმოება-ში) **производство**-ა, მაშ რუსული **веденіе** იმავე წინადადების (**веденіе судебныхъ дѣлъ**) აზრში ქართულად რომელი სიტყვით გადმოითარგმნება? ან, ნუ თუ ჩემი თარგმანი და ახსნა ამ წინადადებისა აზრს აბნელებს და ვერა ხსნის?!

2) ყველას ვინც კი ქართულს ჟურნალ-გაზეთებსა, განსაკუთრებით „ცნობის ფურც.“—«მოამბე»-ს, კითხულობს, ეხსომება და ეცოდინება, რომ ლათინური **status quo** ქართულის ასოებით უმეტესად «სტატუს ქუო»-დ იწერება და ძალიან იშვიათს შემთხვევაში «სტატუს კვო»-დ; უფრო ხშირად კი პირდაპირ ლათინურის ასოებით **status quo**-დ. მე ჩემს ლექსიკონში ეს სიტყვა ისე შევიტანე, როგორც ჩვენს მწერლობაშია შემოღებული და როგორც უფრო კანონიერია ე. ი. სტატუს ქუო-დ და **status quo**-დ. ბ-ნ ზანგს ეს უკანასკნელი, ლათინურის ასოებით ამოწყობილი, ვერ შეუნიშნავს, რომელიც მოქცეულია ჩემის ლექსიკონის მეორე განყოფილებაში (უცხო ანდაზები და წინადადებები [3]). ამ სიტყვის ამოწერის შემდეგ ბ-ნი ზანგი მიკიჟინებს: «სად და როგორ უპოვნია ბ-ნ იმედაშვილს ასეთი უცნაური სიტყვა «სტატუს ქუო»?... ბ-ნ იმედაშვილს ლათინური ასოები სცოდნია, მაგრამ იმათი გამოთქმა, დაწერილის წაკითხვა კი არა; და ლათინური **status quo** თავისებურად ჩაუკითხავს». ლათინურის წაკითხვა არა სცოდნიაო, მე მიკიჟინებს ბ-ნი ზანგი და თვითონ კი ჯერ ერთი ქართული ენის ფონეტიკა არა სცოდნია და მეორეც არა სმენია ის ჭეშმარიტება, რომლის მიხედულებითაც ყოველი ერის მწიგნობრობა (გინდა ხალხი) უცხო ენიდან შემოსულს სიტყვას თავისებურად ნათლავს [4]) და ისე ხმარობს, როგორც მისი ენის კეთილხმოვანება მოითხოვს. ბ-ნ ზანგს რომ დავუჯეროთ, სიტყვა, «გრამატიკა»-ც სასაცილოთ და უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ, იმიტომ რომ ეს სიტყვა ბერძნულად ორის «მ»-ნითი იწერება, ე. ი. გრამმატიკა. ან თუნდა სიტყვები: რედაქცია, ლექცია, კოლექცია და სხ. შეცდომათაა მისამჩნევი, ვინაიდან ეს სიტყვები ლათინურის მართლწერით ქ-ნით იწერება, ე. ი. რედაქქცია, კოლლექქცია, ლექქცია და სხ., მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. გარდა ამისა, ლათინურის ტრანსკრიპციის მიხედულებით არა ფერი დაგვიშლის ქუო-ს მაგივრად ქვო წავიკითხოთ, რადგანაც უ ქართულს ენაში ნახევრად ხმოვანი ასოა, რის გამო ხშირად ვკითხულობთ: ქუეშ-ს ქვეშ-ის მაგივრად, ქუეყანა ქვეყნის მაგივრად და სხ. რაც შეეხება იმას, მე ლათინურის კითხვა ვიცი თუ არა, ამაზე არაფერს ვიტყვი; დეე, ბ-ნმა ზანგმა, როგორც ესიამოვნებოდეს, ისე მიგულოს, ამის «პატენტს» არავისგან ვითხოვ.

3) ბ-ნი ზანგი, როგორც ეტყობა, ძლიერ მოწადინებულია, რომ იოხუნჯოს—გაიცინოს და თვისი ყურის მგდებელნიც უაზროთ გაახითხითოს. მე კი მგონია, ეს არ შეჰფერის მწიგნობარს და განსაკუთრებით ისეთს მწიგნობარს, რომელიც «სალიტერატურო თავაზიანობას» ესარჩლება, მაგრამ, ალბად, ბ-ნ ზანგს სალიტერატურო თავაზიანობა თავისებურად ესმის და ამიტომ, როგორც თავის პირველს წერილში [5]) მოიქცა, ახლაც «ამის წინააღმდეგი ცნება»-ს მაგიერ «ამის წინააღმდეგი ოცნება» ამოსწერა და იმპულსი-ს განმარტებაც შუაზე გასწყვიტა, მთელი წინადადება «აღმძვრელი, მაიძულებელი მიზეზი; გაგულიანება» ჩამოაცალა, ალბად იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ეოხუნჯნა—«მუშტუკუნია» ძლიერი, თუ «მუჯლუგუნი»? ბ-ნ ზანგის საბედნიეროთ მე არ ვეკუთვნი იმ ჩათუქესანთა წრეს, რომელთაც «მუშტუკუნისა და მუჯლუგუნის» დამტკიცება საქმით შეუძლიანთ. აშკარაა, ბ-ნ ზანგს არ ესმის ფრჩხილების („ “) მნიშვნელობა, რომელშიაც ჩასმული მაქვს მოყვანილი სიტყვა, თორემ იგი ასე როდი «გამიწყრებოდა».

4) ბ-ნი ზანგი პროკურორი-ს განმარტებასაც თავისებურად მიწუნებს: «კანონების თვალ-ყურის გდება—სწერს იგი—პროკურორის მოქმედების ერთი მხარეა. ბ-ნ იმედაშვილს დავიწყებია, რომ პროკურორი ყოვლის უწინარეს ბრალ-

---

*) ეს წერილი „ცნობის ფურცელში“ დასაბეჭდათ დავწერე ბ-ნ ზანგის საპასუხოდ, ბ-ნ ალ. ჯაბადარს („ცნობის ფურცლის“ რედაქტორს) გავუგზავნე და ვსთხოვე დაებეჭდნა, მაგრამ ხუთის დღის შემდეგ უკან დამიბრუნა და შემომითვალა, „პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ მაგგვარი პოლემიკისა (ე. ი. სიმართლის აღდგენისა, რასაკვირველია) და ამიტომ წერილიც არ წავიკითხავსო“.—ამ წერილს შეუცვლელ ვ ვბეჭდავ გაზ. „ივერია“-ში.

ავტ.

[1] იხ. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, გვ. VI.

[2] „ცნობის ფურცელი“ 1904 წ. № 2636, 2637 და 2638.

[3] იხ. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი». 1070 გვ.

[4] სხვათა შორის იხ. სილ. ხუნდაძის საყურადღებო გამოკვლევა: სალიტერატურო ქართული ქუთაისი, 1901 წ. 110 გვ., აგრეთვე 100 გვ.

[5] სხვათაშორის, ერთი ჩემი წინადადება „აზრით წარმოდგენილი საგნები‘, „აზრით წარმოდგენილ აზრებით“ ამოსწერა.

მდებელიაო». ბ-ნ ზანგის ლოღიკით გამოდის, რომ თუ «კანონების თვალ-ყურის გდება—პროკურორის მოქმედების ერთი მხარეა (უნდა ვიგულისხმოთ, კანონიერს საფუძველზე), მისი მოქმედების მეორე მხარე—ბრალმდებლობა—არა კანონიერს საფუძველზეა დამყარებული! — მივიღოთ ბ-ნ ზანგის რჩევა და პროკურორს—ბრალმდებელი ვუწოდოთ, [6]) ნუ თუ ჩემი განმარტება ამის წინააღმდეგია? ნუ თუ, ბ-ო ზანგო, როდესაც პროკურორი რომელსამე ბრალდებულს ბრალს ადებს და ითხოვს მის დასჯას, ბრალდებულის პირადის მტრობით მოსდის, თუ ითხოვს კანონის აღსრულებას, ე. ი. ზრუნავს, რომ კანონის მოთხოვნილება აღსრულდეს?! და თუ ეს ასეა, მაშ რა დავაშავე, რომ პროკურორს მე საზოგადო განმარტება მივუწერე? ესეც რომ არ იყოს, ლათინური სიტყვა (რომლისგანაც სიტყვა პროკურორია წარმომდგარი) procurare ხომ მზრუნველობას ნიშნავს და არა ბრალმდებლობას? [7]) გარდა ამისა, თუ კი უცხოთა ლექსიკო გრაფები პავლენკოვი [8]), ჩუდინოვი [9]), ბურდონ-მიხელსონი [10]) სწორედ ასევე ხსნიან, რა დანაშაულობაა, რომ მეც ასევე ავხსენი?!

5) ჩემის ლექსიკონის წინასიტყვაობის წამკითხველი გაიგებდა, რომ „ზოგიერთი სამეცნიერო, სამწიგნობრო სიტყვათა ახსნის დროს ვიხელმძღვანელე ქართულ ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით: ზოგი განმარტება სიტყვა-სიტყვით ამოვწერე, ზოგი შევამოკლე, ანუ შევაკეთე“. [11]) ამ გვარად ამოწერილი და ჩემს ლექსიკონში შეტანილი სიტყვაა, სხვათა შორის, სენესთეზია, ამ წლის «ცნობ. ფურცლის» ფელეტონიდან ამოღებული, რომელიც ეკუთვნის ჩვენის მწიგნობრობის საუკეთესო მოენე მთარგმნელსა და «მოამბე—ცნობ. ფურცლის» მუდმივს თანამშრომელს თ. ს-ს. [12]) ამ სიტყვაზე ბ-ნი ზანგი ბრძანებს: «დიდი თავის ტეხაა საჭირო, რომ კაცმა ამ ახსნის აზრი გაიგოსო». ამ სიტყვის განმარტების გაგება მიმინდვია ცოტაოდნად მაინც დაკვირვებულ მკითხველისათვის, მხოლოდ ბ-ნ ზანგს მოვახსენებ, რომ თუ კი ეს სიტყვა, «ცნობის ფურცელში» დაბეჭდილი, ამ გაზეთის მკითხველებისთვის გასაგები იქნება, [13]) მაშ ლექსიკონის მკითხველებისთვის რატომ არ უნდა იყოს გასაგები?!

მე აქ დანარჩენს სიტყვებს აღარ ამოვწერ,—ბევრს მოეპოვება ჩემი ლექსიკონი და ვისაც ჰსურს,—შეუძლიან შეუდაროს სხვა და სხვა ლექსიკონებს და ისე დაგვდოს მსჯავრი ბ-ნ ზანგსა და მე.

ბ-ნი ზანგი თავის წერილის დასასრულს ბრძანებს: «ბ-ნ იმედაშვილს ძალიან სწყენია, რატომ გამოსთქვით სურვილი, რომ ჩემი წიგნი ხალხში არ გავრცელდესო». ნუ თუ ამის მეტი არაფერი იგულისხმა ბ-ნმა ზანგმა?!—ბ-ნი ზანგი რომ ცოტაოდნად მაინც დაჰკვირვებოდა ჩემის პირველის წერილის დასასრულს, იგი ნათლად გამოარკვევდა თავისსა და თავისიანთა მოვალეობას ჩვენის ხალხის წინაშე; იგი შეიგნებდა იმას, რაც ასე ძლიერ საჭიროა დღეს ჩვენის წინმსვლელობისათვის—ჭეშმარიტებისა და სინათლისაკენ მისწრაფებას, ხოლო უკუღმართობის დამხობას და სიბნელის დათრგუნვას, მაგრამ, ალბად ეს ხელს არ აძლევს იმ ჯურის სულიერთ, რომელთაც მხოლოდ თავიანთი თავი უწამებიათ კერპად, სხვათა ნაშრომ-ნაამაგდარს ფეხქვეშ სთელამენ და ხალხს, იმ ხალხს, რომელიც სულიერ საზრდოს ითხოვს, უშინაარსო მრავალსიტყვაობით უმასპინძლდებიან!..

იოსებ იმედაშვილი.

4 ნოემბერი 1904 წ.

* * *

რუსეთი

ოფიციალურ «ფინლ. გაზ.»-ში დაბეჭდილია რამდენიმე სიტყვა, რომელიც სეიმში იქმნა წარმოთქმული. მოქალაქეების წარმომადგენელთა მინდობილობით, ხალბერგმა თავად-აზნაურთა მიმართ სიტყვა წარმოსთქვა და ჩიოდა, რომ «სილები და მუშტები ზედი-ზედ გვხვდება და მთელის საუკუნოების განმავლობაში საშინელის შრომით შექმნილ ნაყოფს ანადგურებს. ჩვენი საზოგადოებრივ სადგომის საძირკველს გაერთიანების სურვილი თან და თან ანგრევდა. ჩვენს წარსულს ვსინჯავთ, ნამოქმედარს ვათვალიერებთ და ამასთან სისხლის ცრემლით ვტირით, მაგრამ ეხლა ყოყმანიც არ შეიძლება: ჩვენის მოვალეობის გზა გახსნილი და ნათელია. წარმომადგენელნი მოვალენი არიან სიმართლითა და მიუდგომლობით გაანათონ და ასწონ-დასწონონ ყოველივე ის, რაიც ჩვენის ცხოვრების წესიერ მიმდინარეობასა და საზოგადოებრივ განვითარებას აფერხებს და ანადგურებს. ჩვენს ამგვარ უფლებებს ვერ გადაუდგებით და ვერც გვერდს ავუქცევთ».

ლუნდენიუსმა სამღვდელოების სიტყვით მიჰმართა და, სხვათა შორის, სთქვა: «როცა საერობო წარმომადგენელნი უკანასკნელად დავიშალენით, მაშინვე ვიცოდით, რომ ფინლიანდიელებს უბედური დღე მოელოდა. თუმცა ჩვენი ხალხი დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვებულთა პოლიტიკა ცხოვრებას გაუჭირებდა, მაგრამ მაინც სწამდა, რომ იმ ადგილობრივ კანონებით დაიფარავდნენ თავს, რომელიც, ვინ იცის, როდინდელ დროიდგან ფინლიანდიელების პირად თავისუფლებასა და ოჯახის მშვიდობას უზრუნველ—ჰყოფდა. მაგრამ ეს ნდობა, რომელიც ხალხში მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ მისი მთავრობა კანონს ყოველთვის პატივსა სცემდა, აღმაშფოთებელის ამბებით იქმნა მოტყუებული. ეხლა ჩვენს სამშობლოში არსებულ უუფლებრივობას ბოლო უნდა მოეღოს. იგი ვერ ეთანხმება იმ კანონიერ წეს-რიგს, რომელმაც ჩვენ აღგვზარდა». სასულიერო წოდების წარმომადგენელმა, მთავარ-ეპისკოპოსმა იოგანსონმა ზემოხსენებულს ორატორობას უპასუხა: «ეხლანდელ მდგომარეობის მძიმე უღელს ჩვენ ყველანი ვგრძნობთ და კარგად გვესმის ჩვენ მიერ ნაკისრი მოვალეობა. ჩვენი სიყვარული სამშობლოსადმი იმდენად ძლიერია, რომ ამ სიყვარულმა ყველანი შეგვაერთა». გლეხთა დეპუტატმა კასტრენმა, სხვათა შორის, სთქვა: «ფინლიანდიის წარმომადგენელთ დღევანდელსავით, მგონი, არას დროს არ უგვრძნიათ ის მძიმე და დიდი მოვალეობა, რომელიც ეხლა ჩვენ გვაძევს. უკანასკნელ დროს ჩვენი ერი ჰხედავდა, რომ მათს უფლებრივ წეს-წყობილებასა და პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უფლებებს დაუნდობლობითა და ძალმომრეობით არყევდნენ და ანადგურებდნენ. ეხლა იგი დარწმუნებულია, რომ მისი წარმომადგენელნი ფინლიანდიაში უფლებრივ წესწყობილების აღსადგენად ყოველნაირ ღონეს იღონებენ და რაც კი შესაძლებელია, გააკეთებენ. ეხლა მეტად დიდი და ძნელია ის მოვალეობა, რომელიც წარმომადგენელთ აქვთ დაკისრებული. წარმომადგენლებმა მედგრად და მტკიცედ უნდა დაიცვან ხალხის უფლება. სასიამოვნოა ის მოვლენა, რომ ეხლანდელ უბედურ დროს გლეხობამ ის ზნეობრივი ძალა გამოიჩინა, რომელსაც კანონის ძალმომრეობისაგან დაცვა შეუძლიან. გლეხობას იმედი აქვს, რომ უფლება და ჭეშმარიტება ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს და ამიტომ ისევ წინანდელ კანონებს ემორჩილება, თუმცა კი იცის, რომ შეიძლება ამგვარ ქცევისათვის სატანჯველიც ეწვიოს (ფინ. გ.).

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალი «იურისტი» ასე ახასიათებს განსვენებულს ვ. პლევეს:

პლევე არ იყო ნამდვილი სახელმწიფო კაცი. არ იყო იმიტომ, რომ აკლდა პოლიტიკური განათლება და არა ჰქონდა ფართო შეხედულება. პლევე ტიპიური ბიუროკრატი იყო, კეთილ-სვინიდისიერი მოხელე, მტკიცე ამსრულებელი ამა თუ იმ ბრძანებისა და მოსაზრებისა. იმის გაგებაც კი არ შეეძლო, რა ჰხდებოდა კანცელარიებს გარეშე, დიდ, ფართოდ გაშლილ საზოგადოებასა და ერში.

რაკი ბიუროკრატის თვალით უყურებდა ცხოვრებას, ამიტომ შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა საზოგადოებაში არსებობა ამა თუ იმ იდეისა და სრულიად არ ესმოდა იდეის მნიშვნელობა. ყოველგან მხოლოდ დანაშაულსა ჰხედავდა, რომელიც კანონს უნდა მოესპო, პოლიციას უნდა წინ და წინვე აღმოეფხვრა. პლევე, როგორც ერთს დიდს მოხელეს წამოსცდა, რუსეთის რობესპიერი იყო. რობესპიერივით, ამასაც დახავსებული გული ჰქონდა და ვიწროდ შემოფარგლული შეხედულება. რობესპიერს სწამდა, რომ სუფევა სათნოებისა და სარესპუბლიკო კეთილდღეობისა მხოლოდ მაშინ დადგება, როცა გილიოტინა მოჰკვეთს თავს ყველას, ვინც ჩემი წინააღმდეგიაო. პლევეც დარწმუნებული იყო, რომ პოლიციური მყუდროება მაშინ დამყარდება, როცა ოპოზიციის ყველა მომხრენი და მოსურნენი მოდღვაწენი ციხეში იქმნებიან ჩაყრილნი ან გაგზავნილნი ცოტად თუ ბევრად შორეულ ადგილებშიო.

მწერლობა და რუსეთის მწერალნი უპირველეს ყოვლისა საზოგადო წესიერების მტრად მიაჩნდა და ჰგონებდა, სისტემატიურის რეპრესიით დავამშვიდებ ამ მოუსვენრებსა, რომელნიც ასე აღელვებენ და აშფოთებენ საზოგადოებასაო.

რაკი წესიერებასა და მყუდროებას პოლიციელის თვალით უცქეროდა, და არა სახელმწიფო კაცის თვალითა, ამიტომ განსვენებულს მინისტრს არ შეეძლო არავითარის ოპოზიციის ატანა. ყოველგვარი ოპოზიცია არა თუ მავნებლად მიაჩნდა, დანაშაულობად ეგონა. ამიტომ ნებას არ იძლეოდა, რაიმე საზოგადო კრება გამართულიყო, სადამო, ან სადილი, სადაც შეეძლო მცირეოდნად მაინც ეჩინა თავი დამოუკიდებელ მსჯელობას სახელმწიფო ცხოვრების ამა თუ იმ გარემოების შესახებ. ხოლო იმათ, ვინც ასეთს ოპოზიციონერად მიაჩნდა, ჰგზავნიდა ცოტად თუ ბევრად შორს ქვეყნებში. ჰგზავნიდა ხშირად უწყინარს ხალხსაც, ისეთებს, რომელნიც უბრალო-კეთილნი და სამეინახო კაცნი იყვნენ, ისეთნი, ურომლებოდაც არც სადილი გაიმართებოდა და არც ვახშამი და რომელთა დანაშაული ის იყო მხოლოდ, რომ ორიოდე ზმასა და მოსწრებულ სიტყვას იტყოდნენ ხოლმე ჩაგვრის წინააღმდეგ.

ჟურნალი გვიამბობს შემდეგ, როგორ მიუწოდა მხცოვანს მწერალს ნ. მიხაილოვსკის, როგორ ზრდილობიანად მოექცა ჯერა და მერე სასტიკად და გადაჭრით გამოუცხადა, ვერავითარ სადილის ნებას ვერ მოგცემთ, რომ გამართოთო. სადილი უნდოდათ გაემართნათ ჟურნალისტებს მწერლობის დაწყებიდან 200 წლის შესრულების გამო. თან სიტყვა გადუკრა რევოლიუციის პოლკოვნიკებზედ და აგრძნობინა, რომ თვით შენ გენერალი ხარ რევოლიუციისაო. დასასრულ სთხოვა, იმედია, რაც ვილაპარაკეთ, ჩვენ შორის დარჩებაო. ასეთი წესი თურმე ჰქონდა, ყველას სთხოვდა, ნუ გაამჟღავნებთ, რაც ვილაპარაკეთ, ნურსად ნუ გამოაცხადებთ, ნურც აქაურ ჟურნალ გაზეთებში, ნურც საზღვარგარეთისაშიო. ყველაზედ მეტად პლევეს თურმე ამ გახიახებისა ერიდებოდა, ჟურნალ-გაზეთობაში სახელმწიფო ამბების გამოცხადებისა.

სასამართლო

დ. ყვირილა. არაკათ იტყვიან ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევსო. სწორედ ასე იყო ცხრა ამ დეკემბერს.—შორაპნის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ გაარჩია საქმე ნებიერიძეთა შორის. ბრალდებულათ იყო ქვრივი ან. ნებიერიძისა თურმე ამ ქალს და ამის მამამთილს, ასის წლის მოხუცს, მ. ნებიერიძეს ჩხუბი მოსვლოდათ. ქალს ჩხუბში თავის მამამთილისათვის სახსლებით სამგან დაეჭრა თავში მოხუცი, ქალი დამნაშავედ იქმნა ცნობილი და ორის კვირით დაპატიმრება მიუსაჯა განაჩენის გამოცხადების შემდეგ, როცა მომჩივან-მოპასუხე და მოწმენი გამოვიდნენ გარედ დ შინისაკენ მიეშურებოდნენ, უეცრივ ქალის მამა დ. კვეტენაძე და მამამთილი მისი მ. ნებიერიძე წაიკიდნენ და ჯოხით სცემეს ერმანეთს. მოხუცმა მ. ნებიერიძემ თავი გაუტეხა დ. კვეტენაძეს. ამ დროს მიეშველა მსაჯული ბ. რ—ჩი, რომელმაც შემდეგი განკარგულება მოახდინა: მიიწვია მოჩხუბარნი თავის კამერაში და ოთხ-ოთხის დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა. უკეთუ ამ სასჯელს არ მოიხდით, ჯარიმათ უნდა გადაიხადოთ ოც ოცი მანეთით საზოგადო მყუდროების დარღვევისათვისაო.

ამბობენ ქვრივსა და მოხუცს დიდის ხნის უსიამოვნება აქვთო იმისთვის, რომ მოხუცის მ. ნებიერიძის უკვე გარდაცვლილს შვილს დარჩენია ერთი პატარა ქალი, რომლისთვისაც მოხუცს (ბაბუას) არაფრის მიცემა არ ნდომებია უძრავ-მოძრავ ქონებიდგან, ნდომებია უძრავ-მოძრავის ქონების გადაცემა მხოლოდ ერთად-ერთის შვილისათვის.

ა. საქარელი.

„ივერიის“ ფოსტა

თ. ვ. მ—ლს. მოგვიტევეთ, რომ თქვენმა წერილმა ასე დაიგვიანა. ვეცდებით მალე დავბეჭდოთ.

პ. დ—ლს. თვენი ლექსი „მე ჯაშუში ვარ“ არ დაიბეჭდება.

ე. გ. ზ—ლს. თქვენს წერილს გამოვიყენებთ

გ—ი. ს. ზ. ხ—ას. თქვენს კარგს საბუთიანს წერილს ამ ორ სამ დღეში დავბეჭდავთ. დაგვიანებისათვის ნუ დაგვემდურებით.

ს. გ—ი. მართლის მთქმელს. თქვენის წერილის დაბეჭდვას აღარ დავაგვიანებთ.

კოტეს. თქვენის წერილიდან არა სჩანს, საიდან იწერებით და სად მოჰხდა კრება ხელოსნებისა. ძნელია წერილის მთავარის აზრის გაგებაცა. სჩანს, ღარიბ ხელოსანს ხალხს ესარჩლებით, მაგრამ გარკვევით და დალაგებით არა გაქვთ აზრები გამოთქმული. ამიტომ თქვენს წერილს ადგილს ვერ დაუთმობთ გაზეთში.

ვლ.—ბ—ლს. თქვენის ლექსის დაბეჭდვა მოუხერხებლად ვსცანით. ნუ გვიწყენთ.

ხ—ი. გ. წ—ს. თქვენ-მიერ მოწერილს ამბავში არაფერია საყურადღებო. თქვენის სათხოვარის ასრულება ჯერ ნაადრევია. ან რა საჭიროა მაგისთანა პატარა დაბაში ის, რასაც ითხოვთ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

14 დეკემბერი.

შანჰაი. (რეიტერი). რადგანაც რუსის კონსულმა დაოტაის მოთხოვნილებაზე, რომ გადაეცათ იმისთვის «ასკოლდის» მეზღვაური, რომელმაც ჩინელი მოჰკლა, ამიტომ დაოტაიმ მიმართა თხოვნით გარეშე საქმეთა სამინისტროს, მამეცით ინსტრუქციაო.

კალკუტა. (რეიტერი). ინდოეთის ვიცე-კოროლმა კერზონმა მიიღო სანახავად უფროსი შვილი ავგანის ემირისა.

ჰააგა. უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომ ჰოლანდია აძლევდეს ნებას ბალტიის ესკადრას მიიხმაროს ნავთსადგური საბანგი კუნძულ სუმატრაზე. ჰოლანდია სრულს ნეიტრალობას იცავს. არც საბანგში და არც სხვაგან ოსტ-ინდოეთის კუნძულებზე, მებრძოლთ ნავთსადგურები არ დაეთმობათ.

ჯიბუთი. ადენში მძვინვარებს ჭირი და გარემო მდებარე ქალაქებშიაც ვრცელდება.

სტამბოლი, (კორ. ბიუროსი). მინისტრთა საბჭომ გაარჩია საქმე ინგლისის და ოსმალეთის სამფლობელოების განაწილების შესახებ ადენსა და იემენს ახლოს. საბჭო ინგლისის სასარგებლოთ გადასწყვეტს საქმესაო.

მოსკოვი. ბარკუშანმა ქალაქს დიდი ქონება უანდერძა ობოლთა სახლისათვის; ვაჭარ ტრიაპკინის ცოლმა ქალაქს საქველმოქმედო საქმეთათვის უანდერძა 36 ათასი მანეთი.—საბჭოს კრებაზე იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ქალაქის თავი იძულებული გახდა კრება გადაედო.—მოსკოვის წითელი ჯვარის გამგეობამ გამართა საავადმყოფო 400 საწოლითა, საშუალებას იძლევა ვაჭართა საზოგადოება.—აქ იციან, რომ მოსკოვს მოიყვანებენ 10 ათას დაჭრილსა. მოვიდა ომიდგან შვილი გენერალ-ადიუტანტის გრიპენბერგისა, შტაბს-კაპიტანი გრიპენბერგი, რომელსაც ფეხი მოსჭრეს. წავიდა სოფელ მედვედს იაპონიის შტაბის პოდპოლკოვნიკი ტოგო, რომელიც გენერალმა მიშჩენკომ ტყვედ დაიჭირა.

საღამოს დეპეშები

15 დეკემბერი

პეტერბურგი. ურალის ოლქში, სარაჩინკისა და იამანსალინის სოფლებში შავი ჭირი გაჩნდა.

ტოკიო, 13 დეკემ. (რეიტ.). ამბობენ ადმირალი ტოგო თავის ფლოტის უმეტეს ნაწილით მალე იაპონიაში დაბრუნდებაო. ტოგო ტოკიოში მოვა და პორტ არტ. იაპონელთ გამარჯვებას იმპერატორს პირადათ მოახსენებს. ტოკიოს მცხოვრებთ უნდათ, ადმირალ ტოგოს არა ჩვეულებრივის ამბით დაუხვდნენ.—საზოგადოება ძალიან აღელვებულია სანეიტრალო სახელმწიფოთა ქცევით ბალტიის ესკადრისადმი. გაზეთი „კოკუმინ“-ი სწერს: რუსეთმა ინგლისსა, ესპანიასა, ჰოლანდიასა და საფრანგეთს მადლობა უნდა გადაუხადოს, რადგანაც ამ სახელმწიფოებმა ბალტიის ესკადრას მგზავრობა გაუადვილეს. რადგან ზემოხსენებულნი სახელმწიფონი ნეიტრალიტეტს პატივს არა სცემენ, ამიტომ იაპონიას სრული უფლება აქვს კანონიერი უკმაყოფილება გამოაცხადოს.

შანჰაი, (რეიტ. სააგ.). იაპონიის რამდენმამე რაზმმა აიძულეს (რუსები) რამდენიმე გამაგრებული ადგილი მიეტოვებინათ საიმაძსა და კაოლიანს შუა, მდ. ტაიძზიხეს მარჯვენა ნაპირზედ. ირწმუნებიან, რომ იაპონელები მუკდენზედ თავდასხმას აპირობენო.

ინკოუ. 14 დეკემბერი, (რეიტერის სააგენტო). კუროპატკინის მარცხენა ფრთე წინ მიიწევს. ჯარის შუბლი ამ ჟამად 60 ვერსზეა გაჭიმული კამეჩის რქების მოყვანილობის გვარად.

შუშა. 15 დეკემბერს. დილის ათ საათზედ უმთავრეს ქუჩაზედ შვიდჯერ ესროლეს და მოჰკლეს ქალაქის პოლიციის გამგებელი სახაროვი.

ვილნო. პოლევის რკინის გზათა სამმართველოდგან მოიტაცეს ყუთი 43 ათასი მანეთით.

ჩერნიგოვი. დღეს ოფიციალურად დაიშალა საგუბერნიო საერობო კრება. ხარჯთ-აღრიცხვა და მრავალი მოხსენება განუხილველნი დარჩა, ხმოსანნი წავიდწამოვიდნენ.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

7 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ. . . .	93,60
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,50
ბირჟის დისკონტი.	6—$7\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა . . .	$91\frac{1}{2}$ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა . . .	$89\frac{1}{2}$ ნ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	425 ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . .	318 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	$266\frac{1}{2}$ წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . .	—
$4\frac{1}{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	$90\frac{1}{2}$ წ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . .	$87\frac{1}{8}$ წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს.

---

[6]) შემდეგისთვის ვიხელმძღვანელებ.

[7]) Г. Шульцъ. Латино-рус. словарь. СП. 1898, გვ. 440.

[8]) Ф. Павленковъ, слов. иност. словъ, СП. 1900 г. 464 სვ.

[9]) А. Чудиновъ, слов. иност. словъ, СП. 1894, 718 გვ.

[10]) Бурдонъ и Михельсонъ. Пол. сл. ин. словъ, М. 1899, 347 გვ.

[11]) იხ. ჩემი ლექსიკონი, V გვ.

[12]) „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. № 2459 ფელეტონი თ. ს—სი, უკანასკნელ სვეტში.

[13]) ეხლა იმის მტკიცებას ხომ არ დამიწყებთ, რომ ვითომც „ცნობის ფურცელი“ ბუნდოვანად და გაუგებრად სწერდეს?!—თუ ბ-ნი ზანგია მართალი „ცნობ. ფურც“. სტყუის; თუ „ცნობ. ფურც.“ მართალია, მაშინ ბ-ნი ზანგი სტყუის.

ავტ.

38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.)..

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.) საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახაზინო საავადმყოფო,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

კუკიისა—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

თვალების სამკურნალო—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ს ი ა

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

ალადაშვილი, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

გედალინი, ალექსანდრე გიორგის ძე, 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

გეცელი, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

ჯანიბეგოვი, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

ელჩიევი, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

ზაბლუდოვსკი, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

კასუმოვი, ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

მირზაევი, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

საათსაზოვი, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

თათევოსიანი, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.— საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

ხატისოვი, ნიკოლოოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

შახ-აზიზოვი, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7½—8½ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

შჩერბინინა, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 5—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „

3) ოლკას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5 8 „

განცხადებანი

„ცოდნა“-ს.

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

ისყიდება:

დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრესტოლის ქაღალდზედ.	50 კ.
რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . .	20 კ.
ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით	15 კ.
რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა .	10 კ.
სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან.	10 კ.
სიმღერა აკაკისა—სურათით. . . .	15 კ.
წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . .	5 კ.
გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . .	20 კ.
კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა	50 კ.
ლექსიკონი რუსულ-ქართული . . .	50 კ.
ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . .	3 მნ. „
ლექს—ონი სახოკიასი რუსულ-ქართულად.	20 კ.
სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი	5 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა	30 კ.
ვაჭრული ჭკუა აკაკისა	5 კ.
პატარა ჩონგური (დედა ენა) . . .	5 კ.
დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტ.	5 კ.
ოქრუა (ხალხური ზღაპარი) . . .	5 კ.
სამი ზღაპარი	10 კ.
აბრაამის და იობის ლექსი	3 კ.
თამარ მეფე სურათით	5 კ.
თხზულება ია. ეკალაძისა	1 მან. „
ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . .	„—30 კ.
იგივე რუსულად თარგმანი	„—50 კ.
დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . .	„—50 კ.
მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . .	„—20 კ.
ჩემი თავ გადასავალი აკაკისა . . .	1—„ „
სიტყვიერების თეორია ე. კ. . . .	1—„ „
გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი	1—80 კ.
დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . .	1—„ „
ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ.	9— „ „
ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით .	3— „ „
ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტანიკ.	„—60 კ.
ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა	1—50 კ.
ვახუშტის გეოგრაფია	2— „ „
ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ	„—50 კ.
ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული.	„—60 კ.
მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა.	2—50 კ.
დავით გურამიშვილი	1—„ „
ქართლის ცხოვრება I, II და III. .	1—80 „
Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп.	„—40 к.
Исторія Грузинск. церк. Е. К.	2 р. „ „
კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა .	1—„ „
ამირან-დარეჯანიანი	1—„ „
ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა .	1—„ „
რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . .	„—40 კ.
ქართული გრამატიკა, ს. ხუნდაძისა.	„—50 კ.
სალიტერატურო ქართული მისივე .	1—„ „

თხუზლებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, მოსე ჯანაშვილისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟა-ფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვ.

სურათი თამარ მეფისა დიდი . . .	1—50 კ.
» » » პატარა. . . »	6 კ.
„ აკაკისა ბრესტოლის ქაღალდზე. .	40 კ.
„ ილია ჭავჭავაძისა	40 კ.
„ ალექსანდრე ყაზბეგისა , . . .	50 კ.
„ რაფიელ ერისთავისა.	40 კ.
„ ბარ: თაშვილისა	50 კ.
„ ეგნატე ნინოშვილისა	30 კ.
„ გიორგი წერეთლისა	30 კ.
„ ლეონიდე ეპისკოპოზისა . . .	30 კ.
ჯგუფი ქართველ მწერ: ლთა . . .	„—75 კ.
ჯგუფი თამარისადმი ვეფხ. ტყაოს. მიმართ.	50 კ.
საქართველოს დიდება, საბინისასა. .	1—20 კ.
სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო.	„—5 კ.

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე**.

ჟურნალ „ჯეჯილის“ პრემია

ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი

იბეჭდება და ამ ცოტა ხანში დაურიგდება «ჯეჯილის» 1904 წლის ხელის მომწერლებს.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“

ს უ რ ა თ ე ბ ი თ

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედ
გოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ
ცალკე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მოწ
წერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრ
დილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კა
ცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი' 5 მოქმე
დრამა-ლეგენდა

ლ ა ლ ა ტ ი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემუ
ლი შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა
ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულის და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили.

(10—10)

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 დეკემბრისათვის 1904 წლისა.

აქტივი.

	მან.	კაპ.
I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული).	46832	73
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ.	300	—
III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.	1131	75
IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1641—76 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50	10021	26
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . .	8567	24
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი	268693	66
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით.	500	—
VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები. . .	7595	—
IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ.	420	90
X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს ღ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 20626—00 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 61632—75 გ) საქონელზედ . . . 22579—50 დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 3920—00	108758	25
XI. გარდახდილი პროცენტები . .	13683	57
XII. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ.	1	64
XIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . .	215	96
XIV. მოწყობა და მომართვა . . .	2112	29
XV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 99426—02 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 44253—89	143679	91
XVI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ.	198	67
XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები . .	401	34
XVIII. მიმდინარე ხარჯები . . .	15598	41
XIX. გარდასავალი თანხები	65	25
ბალანსი	628777	83

პასივი.

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 794 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან.	88851	—
II. სათადარიგო თანხა: . . .	9386	38
III. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . 124469—83 ბ) ვადით . . . 152828—66 გ) უვადოთ . . 400—00	277698	49
IV. გარდამავალი თანხა	1250	66
V. გარდასახდელი სარგებელი . . .	624	72
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . .	53	36
VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად . . .	1056	—
VIII. გასაგზანათ მიღებული თანხა .	—	—
IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 52211—19 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 75823—90	128035	09
X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფლისის განყოფ. , .	30000	—
XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ. ბანკის განყოფილებაში . 25000—00 სხვა ბანკებში . . . 33900—00	51950	—
XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლ.	2648	95
XIII. მიღებული სარგებელი . . .	35573	64
XIV. 1903 წლის წაუღებელი დივიდენდი. .	1583	57
XV. მოგება და ზარალი 1904 წლისა .	40	—
XVI. განუყოფელი დარჩენილი ფული 1903 წ.	25	97
ბალანსი.	628777	83
პასუხის-მგებლობა 794 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდასახადით . .	799659	—
საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება	5700	—
თამასუქები საკომისიოდ. . . .	10221	57
„ ვალების უზრუნ.-საყოფ. ვად. კორესპ.	6465	—

Дозволено цензурою Тифлисъ, 15 декабря, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи